● ...ანბანის ასოების ფორმა 1834 წლის ანბანის ანბანის ასოების ფორმებისაგან ოდნავ განსხვავდება: ზოგიერთ ასოებს ახალი ელემენტები დაემატა, ზოგიერთი კი გამარტივდა. ● ასოების ნაწილი — ღერო, ნახევარწრიული ელემენტი, ბოლო ელემენტი, ბეჭედი, ფეხი, ბოლო ელემენტი, ბეჭედი, ფეხი, ბოლო ელემენტი, ბეჭედი, ფეხ



მაჟულის სიყვარული

ჯერ კიდევ თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში სწავლობდა, როდესაც ტოლ-მეგობრები აიყოლია და ფეხით დაადგნენ საქართველოს გზებსა და ბილიკებს. ქართველი ხალხის წარსული ყურმობიდანვე იტაცებდა და წინაპართა აშენებული ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების ხშირი სტუმარი იყო. ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვა. შემდეგში, როგორც თეატრალური რეჟისორი, ხშირად დგამდა სცენაზე ისტორიული ხასიათის ქართულ პიესებს.

ამჟამად საქართველოს ტელევიზიაში მუშაობს ტელეფილმების სტუდიის რეჟისორად. ფილმებისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „შორია გურჯისტანამდე“ საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გურამ პატარაიას რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

ბეჭდეს მეხუთე საუკუნის ქართული ტაძრის ნანგრევები, სადაც იტალიელმა არქეოლოგმა და მეცნიერმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა უძველესი ქართული წარწერა. ეს წარწერა ნახევარი საუკუნით უსწრებს აქამდე უძველესად მიჩნეულ ბოლნისის სიონის წარწერას.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში გურამ პატარაიამ ფირზე გადაიღო მრავალი ათეული უძველესი ქართული ხელნაწერი.

გადამღებმა ჯგუფმა რეჟისორ გურამ პატარაიას, სცენარისტის ლამარა ბოკერიას, ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილსა და მეცნიერ-კონსულტანტ პროფესორ მაგალი თოდუას შემადგენლობით, თეირანის სენატის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა მე-17 საუკუნის ქართული ხელნაწერი. ეს არის ორმოცგვერდიანი შესანიშნავი ლექსების კრებული ვინმე იასესი, რომელიც სრულიად ახალი სახელია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იასე დღეს პირველი ქართველი პოეტია, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ახსენებს რუსთაველს. ეს წიგნი უკვე გამოსაცემად მზადდება და მალე დაისტამბება.

ირანში ამ ჯგუფმა მიაკვლია მედეას, სადაც აწამეს ქეთევან დედოფალი, ნახა ადგილები, რომლებიც ირანის ერთ-ერთი დიდი შოღვაწის ალავერდი-ხანის (უნდილაძის) სახელთან არის დაკავშირებული.

თხრობით ადგილია იმ დიდი ეროვნული საქმეების გადმოცემა, რაც გურამ პატარაიას და მის მეგობრებს გაუკეთებიათ, მაგრამ თითოეული ძეგლისა თუ ხელნაწერის გადაღება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან უცხო ქვეყანაში წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, რაც ქართველ კინოდოკუმენტალისტებს აინტერესებთ.

ბაზით „სამშობლოს“ მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, — ამბობს რეჟისორი — ძალზე დიდი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ. თუ ეგულებათ სადმე ქართული ხელნაწერები, საინტერესო ცნობები ქართული კულტურის კერების შესახებ, შემგვატყობინონ გაზეთის საშუალებით. მზად ვიქნებით ფირზე აღვგეჰდოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ჩვენი ერის წარსულის თითოეული ფურცელი.

როდესაც გურამს ნაცნობ-მეგობრები დიდ ეროვნულ ჯილდოს — რუსთაველის სახელობის პრემიას ულოცავენ, იგი მორიდებით შენიშნავს ხოლმე: ეს ჯილდო საქართველოს ტელევიზიის დიდი, საინტერესო წამოწყების საუკეთესო აღიარებაა. მოვხსენებათ — ფილმს ერთი ადამიანი არ ქმნისო...

ჯემალ ქურხული

● **სურათებზე: ზემოთ — მარჯვნივ: გურამ პატარაია, ირანის დედოფალი ფარა ფეხლევი, კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, პროფესორი მაგალი თოდუა. ქვემოთ — მდინარე ოორდანიის ნაპირებზე.**



რუსთაველის ნაკვალევზე

ფილმის სცენარის ავტორია მწერალი ილია რურუა. რეჟისორია გურამ პატარაია. ფილმში მონაწილეობენ აკადემიკოსები: აპაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე.

შოთა რუსთაველი მთლიანი საქართველოს შვილია. გენიოს პოეტს იჩემებს ყველა სოფელი, დაბა თუ ქალაქი. იჩემებენ მთასა თუ ბარში. თითოეულ კუთხეში არსებობს ლეგენდა გენიალურ შოთა რუსთაველსა და დიდ თამარზე.

ქვაბისხევში ერთმა მოხუცმა თქვა: მე წინაპრებისაგან გამიგონია, აქაური იყოო შოთა რუსთაველი. ახლა ამბობენ, თბილისთან რომ ქალაქი რუსთავია, იქიდან არისო.

არსებობს ლეგენდა: ვარძიაში გაუმხელია მგოსანს სიყვარული თამარ დედოფლისთვისო.

ნიკორწმინდაში წაუკითხავსო თავისი უკვდავი ქმნილება სათაყვანო თამარისათვის შოთა რუსთველსო.

და კიდევ მრავალ ლეგენდასა და თქმულებას შორის რომელია მართალი? სად არის შოთას საფლავი? სახელი შოთა ბევრჯერ მოიხსენება მატიანეში. მაგრამ რომელია რუსთაველი? და იმავე მემატიანისა არ იყოს, რა გუყოთ, სად ვეძიოთ დიდი წინაპარი?

იქნებ მისსავე პოემაში?

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“

ტრაგიკული სიყვარულისა თუ კიდევ სხვა მიზეზით, შოთა რუსთაველი იერუსალიმში გადაიხვეწაო, ამბავი ლეგენდებიც არსებობს საქართველოში.

...ქართველებს მეთერთმეტე საუკუნეში დაუარსებიათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ქართველ მოწყალეთა სავანეში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაჩაღდა. აქაურობა წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, მაგრამ მტერიც მრავალი ჰყავდა. ხან ჭრისტეს საფლავის მჭედნელი ჯვაროსნები ყოფილან ამ მიწა-წყლის გამგებელნი, ხან მაჰმადიანები. მოწესე ქართველები კი ისე მდგარან, როგორც აქაურ ლითონის მრგვალ ფირფიტაზე წერია: „ქართველებო, სდექით მტკიცედ და მეტკვალად“.

იქნებ მართლა ამ წმინდა ადგილებში დაასრულა თავისი სიცოცხლის დღენი ოდესღაც დიდებულმა რაინდმა, ჩვენმა სათაყვანო მგოსანმა შოთამ?

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართული ვაზი შემოგვება რვა საუკუნის შემდეგ წინაპრის საძებნელად ჩასულთ. აქაურობა კვლავაც ქართული სულით სუნთქავდა: „ქართველებო, სდექით მტკიცედ და მეტკვალად“.

ფრთხილად აწმინდება ტაძრის კედელზე მუქ-ლურჯი შავი ფერის სქელი ფენა და მის ქვეშ პირველად გამოჩნდა ზეადმართული ხელები. ცერად გამოჩნდა წითელი ფერის რაინაიმელი, თეთრი წვერი, სახე... სახე ჩვენი დიდი წინაპრისა. ქვევით აწერია ერთადერთი სიტყვა: „რუსთაველი“.

შორია გურჯისტანამდე

ფილმის სცენარის ავტორია ლამარა ბოკერია. ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, რეჟისორი გურამ პატარაია. ფილმში მონაწილეობენ ფერეიდნელი ქართველები.

1616 წლის ზაფხულში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა მძვინვარე შაჰ-აბაზი კახეთში. ცეცხლს მისცა ქართველთა სახლ-კარი, ხარჩო-საბადებელი. აჩეხეს ბაღ-ვენახები. 400 ათასამდე ქართველი ირანის შორეულ გზას გაუყენეს.

მაშინ უდაბური, ხრიოკი ადგილი ყოფილა ფერეიდანი. ირანის შაჰს სწორედ აქ ჩაუსახლებია ქართველები. ამით ისპაანის მთებიდან მომთაბარეთა თავდასხმებისაგან იცავდა დედაქალაქს.

მას აქეთ უცხო მიწაზე ცხოვრობენ ჩვენი ძმები. წალკოტად, ნაყოფიერად უქცევიათ უდაბური ადგილები.

ქართველის ღირსება და დედაენა შეუნახავთ 7 სოფელში მცხოვრებ ქართველებს. ქართულად ლაპარაკობენ მარტყოფლები და ჩუღურეთლები, ჯაყჯაყელები და ვაშლოვნელები...

დღედაღამ საშიშროში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

ვინც ცისარტყელაში გაძვრება, დიდ საქართველოში დაბრუნდებაო...

ჯიხის ცხენებზე გადამჯდარი ბიჭუნები თავდაუზოგავად მიქრიან... ოღონდაც! ის, ვინც პირველი მიირბენს, უთუოდ პირველად დაბრუნდება საქართველოშიო...

და ესიზმრებათ ბედკრულ ფერეიდნელებს დიდი საქართველო. სამშობლო ესიზმრება დიდსა და პატარას. ამასობაში გადის წლები, საუკუნეები. ქართველები კვლავ ქართველობენ. უვლიან ცხვარსა და ძროხას. აგებენ ღარიბულ, მაგრამ მაინც ქართულ სახლებს, ქართული აივნებითა და ბანებით. აქაური ორღობეები ჩვენებურ კახურ ორღობეებს მოგვაგონებს.

უყურებ ამ ფილმს და გიხარია, როდესაც საქართველოდან ასე დაშორებული ადამიანები ამბობენ: ჩვენ ქართველები ვართო, ჩვენი დედაენა ქართულიაო, ამ სოფლებში მხოლოდ ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთო. როდესაც ისპაანში ბაზრობაზე მიდიან ფერეიდნელი ქალები, თარჯიმნის წაყვანა სჭირდებათ, რადგან სპარსული არ იციანო.

ფილმის დასასრული: ეკრანზე ჩანან მსხვილი პლანით გადაღებული ფერეიდნელი ქართველები. იყურებიან ცრემლიანი, საყვედურიანი თვალებით...

ფილმს ადამიანები ქმნიან

ასეთია გურამ პატარაიას ორი ფილმის ფრაგმენტული შინაარსი. ცალკე, და უთუოდ ვრცლად, შეიძლება ილაპარაკო მის მრავალფეროვან, მდიდრულ რეჟისორულ ხერხებზე, რომლებითაც დოკუმენტურ-სამეცნიერო ფილმები შორს გასცდა ამ ჟანრის ერთგვარ მშრალ სპეციფიკას.

არაფერი გვითქვამს ფილმზე: „პალესტინის სიძველეთა სადგომები“, რომელიც ასე იწყება: ხალხის გადმოცემით, დიდი თამარი გელათში დაუსაფლავებიათ, აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1919 წელს გათხარა ის ადგილი, სადაც ეგულებოდა საქართველოს მეფის ნეშტი, მაგრამ აკლდამა ცარიელი დახვდა.


მე-13 საუკუნის ევროპელი ისტორიკოსი ამბობს: ქართველთა ჯარი, რომელთაც ახალგაზრდა მეფე მიუძღვოდა, ხმლით იკაფავდა გზას იერუსალიმისაკენ, მათ თან მიჰქონდათ თავიანთი დედოფლის ნეშტი. ჭაბუკი მეფე დედის ანდერძის ერთგული იყო, დედოფალი იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის გვერდით უნდა დაეკრძალათ...

ეს ფილმიც საინტერესოა და შედის დოკუმენტური ფილმების ციკლში: „ქართული კერები საზღვარგარეთ“. ციკლი საქართველოს ტელევიზიის დიდი და მნიშვნელოვანი წამოწყებაა, რასაც რეჟისორმა გურამ პატარაიამ ჩაუყარა საფუძველი და ისევე საინტერესო და უსასრულოა, როგორც საქართველოს ისტორია.


ამგვარი ფილმების გადაღებით დიდი ეროვნული საქმე კეთდება. მაგალითისათვის რამდენიმეს ვიტყვით.


გურამ პატარაიას ჯგუფმა გადაიღო ფირზე იერუსალიმის სომხურ სამპატრიარქოში მეცნიერებისათვის აქამდე უცნობი ხელნაწერი. ფირზე აღ-

1971 ... 24 ...










THE OTTAWA JOURNAL
70
LifeStyle
DANSEURS
CHANTEURS ET
MUSICIENS
OUTLINE ENERGIE
INSURPASSABLE
ENTERTAINMENT










შენ ხარ ჩვენში







სიმონ კილაძის
ფოტორეპორტაჟი

წერილი საფრანგეთიდან

ქრქაშონი, საფრანგეთი, 31 აგვისტო, 1971 წ.

„ბედი ქართლისა“-ს დირექტორის იუბილეს ირგვლივ, წერილი „ლიტერატურულ საქართველო“-ს და „სამშობლო“-ს რედაქციებს.

ძრმად პატივცემულო ბატონო დირექტორო!

ნება მიბოძეთ მადლობა გამოგიცხადოთ თქვენს გაზეთში Revue de Kartvelologie Bedi Kartlisa-ს სამეცნიერო საბჭოს წერილის მოთავსებისათვის.

დიდად დაგვაფასებთ, თუ გაასწორებთ შეცდომას დაშვებულს თარგმანის ბოლოში.

სწერია: „მათ (სალიებს) აქვთ საფუძველი აღიარებულ იქნან მეცნიერთა სამყაროში, მათ მშობლიურ ქვეყანაში, რომელთაც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებიან“.

უნდა იყოს: „მათ უფლება აქვთ მადლობის მიღებისა მეცნიერთა სამყაროსაგან, მათი მშობლიური ქვეყნისაგან, რომელთაც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებიან“.

მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ ისინი მეცნიერთა სამყაროში დიდი ხანია აღიარებულნი არიან.

ბრძოლა ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აღვნიშნო ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცდენად შემდეგი: პირველი საფუძველი ქართველოლოგიას ჩაუყარა 1834 წ. ფრანგმა მეცნიერმა Marie-Felicite Brosset-მ, ხოლო როგორც ნამდვილი მეცნიერული დისციპლინა, დასავლეთში ქართველოლოგია პირველად ჩამოაყალიბეს ისევ საფრანგეთში Revue de Kartvelologie Bedi Kartlisa-ს დაარსებით ნინო და კალისტრატე სალიებმა 1957 წლის დასაწყისში. მანამდე, სამზღვარგარეთ, სამწუხაროდ, ქართველოლოგია როგორც მეცნიერება არ არსებობდა.

პატივისცემით და მადლობით რ. ლაფონი.

პროფესორი, „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

„ლიტერატურული საქართველოს“ წლევანდელ 17 სექტემბრის ნომერში და ახლა გაზეთ „სამშობლოში“ მოთავსებული ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობრის — რენე ლაფონის „წერილი საფრანგეთიდან“ ზოგიერთ დაზუსტებას საჭიროებს. ბატონი ლაფონი წერს: „პირველი საფუძველი ქართველოლოგიას ჩაუყარა 1834 წელს ფრანგმა მეცნიერმა“ მარი ბროსემო.

თუ ავტორი საერთოდ თვლის აკადემიკოს ბროსეს (1802-1880) ქართველოლოგიის დამაარსებლად, ეს ზუსტი არაა. ამ მიმართულებით მასზე გაცილებით ადრე მოღვაწეობდნენ მეფე და მეცნიერი ვახტანგ მეექვსე და მისი სწავლულ კაცთა კომისია (თავისებური სამეცნიერო აკადემია), ბრწყინვალე ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, უკვდავი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი, თვით ბროსეს მასწავლებელი და გზისმკვლევი თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელთაც ახალი ქართველოლოგია შექმნეს. პეტერბურგში მცხოვრები ქართველი მეცნიერების დახმარებით შედგენილი ევგენი ბოლხოვიტინოვის ცნობილი ნაშრომი ქართული კულტურის შესახებ 1802 წელს გამოიცა რუსულ ენაზე და იგი ფრანგულსა და გერმანულ ენებზეც გამოქვეყნდა 1804 წელს. ბროსე თვითონ სწერს, რომ ამ წიგნმა აღუძრა მას ინტერესი საქართველოსადმი.

თუ ზემოაღნიშნულ ციტატაში ბროსე ქართველოლოგიის დამწყებად იგულისხმება მხოლოდ საფრანგეთში, მაშინ რატომ 1834 წელი? ბროსემ ქართველოლოგიური 30-მდე ნაშრომი გამოაქვეყნა 1827-1833 წლებში. 1834 წლის ხუთ ნაშრომში კი ის ძირითადად წინა წლების მიღწევებს ავითარებდა.

ბატონი ლაფონი აცხადებს: 1834 წლის შემდეგ, „როგორც ნამდვილი მეცნიერული დისციპლინა დასავლეთში, ქართველოლოგია პირველად ჩამოაყალიბეს ისევ საფრანგეთში ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დამაარსებლებმა ნინო და კალისტრატე სალიებმა 1957 წლის დასაწყისში. მანამდე, სამზღვარგარეთ, სამწუხაროდ, ქართველოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა“.

გამოდის, რომ ბროსეს საფრანგეთიდან პეტერბურგში გადასახლების, ესე იგი 1837 წლიდან, 1957 წლამდე, — მთელი 120 წლის განმავლობაში ევროპაში ქართველოლოგია არ არსებობდა! ეს ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება...

ევროპა საქართველოთი უძველესი, არგონავტების დროიდან იყო დაინტერესებული; ბროსეს შემდეგ ევროპაში მოღვაწეობდნენ ევროპელი კავკასიისმცოდნეები და ქართველოლოგები: ადოლფ დირი, ჰუგო შუხარტი, გერჰარდ დეეტერსი და ახლაც მუშაობენ უერარ გარითი, ჰანს ფოგტი და სხვები; ქართველოლოგიას ევროპაშივე ავითარებდნენ ქართველები: მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ წერეთელი, ნიკო მარი, ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ ფერაძე და სხვები.

თუ ბეჭდვითი ორგანოს არსებობაშია საქმე, იგი გასული საუკუნის 80-იან წლებში დააარსა თბილისში ფრანგმა მურიემ (Caucase Illustrè), ზემოხსენებული დირი აქვეყნებდა ჟურნალს (Caucasica, ლაიფციგი), რომელშიც ქართველოლოგიური ნარკვევებიც იბეჭდებოდა, ხოლო 1935-1937 წლებში გამოდიოდა ინგლისში პროფესორ ალენისა და ანდრია გუგუშვილის ხელმძღვანელობით «Georgica». ეს ორგანო, როგორც უკვე ვწერდით, „ბედი ქართლისას“ ტიპისა იყო და აგრეთვე მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა. ანდრია გუგუშვილს ჰქონდა საფუძველი, 1967 წელს რომ წერდა: «Georgica» შეგვიჩერა ომმა და განახლება ვეღარ მოვახერხეთ. მის მაგივრობას ახლა ეწევაო კალე სალიას «Bedi Kartlisa»...

ქალბატონი ნინო და ბატონი კალისტრატე სალიები ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დაარსებით საშვილიშვილო საქმის მოთავენი გახდნენ. ჩვენი თანამემამულეების ღვაწლის აგრე დიდად დაფასებისათვის ბატონი ლაფონის მიმართ მადლობის გარდა არაფერი გვეთქმის, მაგრამ ნურც ჩვენი დარგის ისტორიას გავაღარიბებთ.

დიდი ბროსეს თაყვანისმცემელი, ბატონი ლაფონისა და ბატონი სალიების უღრმესი პატივისმცემელი.

იოსებ მეგრელიძე
პროფესორი

გამარჯობა, მამა!

შეხვედრა ნახევარი საუკუნის შემდეგ

ეს უჩვეულო ამბავი შარშან, თითქმის წელიწადნახევრის წინათ დაიწყო.

ჩვენს მკითხველს შეიძლება კიდეც ახსოვდეს „სამშობლოში“ 1970 წლის 22 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი:

„დიდად პატივცემული ბატონებო! მოგმართავთ მეტად არაჩვეულებრივი თხოვნით: იქნებ შეგეძლოთ გამიწიოთ დახმარება და თქვენი გაზეთის საშუალებით მაპოვნინოთ მამა ან მისი ოჯახი. მამაჩემის სახელი და გვარია Anton Seradse (ანტონ ზერაძე, შეიძლება სერაძე, ცერაძე ან სირაძე, რედაქცია).

ახლა ის იქნება დაახლოებით 75 ან 80 წლისა, წარმოშობით ქალაქ ბათუმიდან უნდა იყოს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ის ტყვედ მოხვდა გერმანიაში, ქალაქ ტრირში, სადაც გაიცნო დედაჩემი.

მე დავიბადე 1918 წლის 7 ოქტომბერს. ამის შემდეგ მამა მალე დაბრუნდა საქართველოში. მოგვიანებით დედა დაქორწინდა სხვაზე, რომელმაც შვილივით აღმზარდა.

თუ თქვენ შეძლებთ და დამაკავშირებთ მამასთან ან მისი ოჯახის რომელსამე წევრთან, დიდად მადლობელი დავრჩები. ამასთან, გთხოვთ მამაჩემის მამინდელ ფოტოს.

არ ვიცი, როგორ გადავიხადო თქვენს ამაგს. მეგობრული დახმარებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

მეგობრული სალმით — ჰანა ცეტშე, ქალაქი ანცინგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“.

წერილი კი გამოვაქვეყნეთ, მაგრამ, გულახდილად გითხრათ, მაშინ ჰანას მამის პოვნის იმედი მაინც და მაინც არ გვქონია—კავკასიის იმპერიის დაცემიდან ხომ მთელი ისტორიული ეპოქა, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა!

ორი თვის განმავლობაში არავინ გამოგვხმაურებია. ჩვენც ეს ამბავი თითქმის დავიწყებას მივეცით. მაგრამ ერთ დღეს ფოსტამ სასიხარულო ბარათი მოიტანა. მისი ავტორი, მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის მკვიდრი ვენერა კვაჭანტირაძე ყოფილა. მან მოგვწერა:

„ანტონ სირაძის შესახებ გაცნობებთ შემდეგს: დაბადებულია მახარაძის რაიონში, სოფელ კონჭკათში. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ტყვედ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამბობდა, გერმანიაში მყავს ცოლი და ქალიშვილიო. ანტონს ცოლი არ შეურთავს. 1942 წელს გარდაიცვალა ქალაქ ბაქოში და იქვე დაკრძალეს.

ამჟამად სოფელ კონჭკათში ცხოვრობს ანტონის და ლუდმილა, მე კი ლუდმილას ქალიშვილი, ანუ ოჯი ანტონის დისწული ვარ. ვმუშაობ სკოლაში მასწავლებლად.

...ანტონს ბევრი ნათესავი ჰყავს, რომლებიც მოხარული იქნებიან გაიცნონ ჰანა ცეტშეს მამის სამშობლო. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ მას ჩვენი ეს დიდი სურვილი.

პირადად მე ჩემს ალალ ბიძაშვილს ჰანას გულითად სალამს ვუძღვნი და მოუთმენლად ველი მის ვაცნობას“.

ეს წერილი „სამშობლოში“ 1970 წლის 14 აგვისტოს გამოვაქვეყნეთ და ასეთი მინაწერიც გავუკეთეთ: „როგორც იტყვიან, ფაქტები კომენტარს არ საჭიროებენ. გაკეთდა კიდევ ერთი კეთილი საქმე — ათეული წლების წინათ დაკარგული ნათესავებმა ერთმანეთის კვალს მიაგნეს“, ხოლო ქალბატონ ჰანას მივულოცეთ დიდი ხნის ოცნების წარმატებით დაგვირგვინება — მამის ამბის გაგება და ახალი ნათესავების შეძენა.

ამგვარად, ჩვენი მხრივ საქმე დამთავრებულად ჩავთვალეთ და ახლა დამშვიდებით ვადევნებდით თვალყურს ქალბატონ ჰანასა და მის ქართველ ნათესავებს შორის დამყარებულ ბედნიერ ურთიერთობას.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე. ქალბატონმა ჰანამ სიხარულითა და მადლობით სავსე წერილები გამოგვგზავნა, ვენერა კვაჭანტირაძე კი გერმანელი ბიძაშვილის მოწვევის თადარიგს შეუდგა..

და აი შარშან, გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს რედაქციის კარები მოკრძალებით შემოაღო სასიამოვნო გარეგნობის უცნობმა მოხუცმა. რედაქტორი იყითხა, მორიდებით მომესალმა, ჯიბიდან გაზეთ „სამშობლოს“ 22 მაისის ნომერი ამოიღო. ის გვერდი გადაშალა, სადაც ჰანა ცეტშეს წერილი და მისი მამის ანტონ სირაძის სურათი იყო დაბეჭდილი, ამ უკანასკნელს თითი დაადო და მოულოდნელად განაცხადა — ეს კაცი მე ვარო.

იმ მომენტში, ალბათ, სასაცილო შესახედი ვიყავი. გაკვირვებისაგან სახე მომელრიცა, ხმის ამოღება ვერ მოვახერხე. თავდაბირველად ვიფიქრე, რომ ხუმრობდა, თანდათან მზერა სურათიდან მოხუცის სახეზე გადავიტანე. მსგავსება შესამჩნევი იყო. უნებურად გამახსენდა ჰანა ცეტშე, ვენერა კვაჭანტირაძე. მათი და ჩვენი მამოწერა, შეცდომაში შეყვანილი მკითხველი...

— წერილი და სურათი თითქმის შვიდი თვის წინათ გამოვაქვეყნეთ. თუ ის კაცი, რომელსაც ვეძებდით, მართლა თქვენ ბძანდებით, რატომ აქამდე არ განაცხადეთ: ჩვენ უკვე დავადგინეთ ჰანა ცეტშეს მამის ვინაობა და ქალიშვილს პასუხიც მივწერეთ.

მოხუცი უხერხულად შეიშმუშნა, ეტყობა, მეორე წერილი რომელიც 14 აგვისტოს ნომერში იყო დაბეჭდილი, არ წაეკითხა.

— ეს გაზეთი ერთი თვის წინათ მაჩვენეს შვილებმა, მათაც შემთხვევით და დიდი დაგვიანებით ჩავარდნოდათ ხელში. ჩემი სიტყვის სანინააღმდეგო რომ ეწერა ოდნავადაც შეპარებოდეს, ამ ხნის კაცი აქ არ მოვიდოდა (ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა ჯიბიდან ახალგაზრდობაში გადაღებული სხვა სურათი ამოიღო, რომელიც ძალიან ჩამოჰგავდა გაზეთში გამოქვეყნებულს). მე სულ სხვა რამ მაფიქრებს — მაქვს თუ არა უფლება თავს იმ ადამიანის მამა ვუწოდო, რომლის აღზრდაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და რომლის შესახებაც ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე არაფერი ვიცოდი.

მოხუცის გარეგნობა და სიტყვები თანდათან მაგრძნობინებდა, რომ ჩემს წინაშე ჰანა ცეტშეს ნამდვილი მამა იჯდა, მაგრამ პირველი მწარე გაკვეთილის შემდეგ გადავწყვიტე ახლა მაინც გამომეჩინა სიფრთხილე და ჩემი ვარაუდი სარწმუნო წყაროებით განმემტკიცებინა.

— კი მაგრამ, ბატონო ანტონ, რით ამტკიცებთ, რომ თქვენ სწორედ ის ბრძანდებით, ვისაც ქალბატონი ჰანა ეძებს?

აქ მოხუცმა შემდეგი საგულისხმო ამბავი მიამბო.

— ჩემი სახელი და გვარია ყარამან სირაძე. პირველი მსოფლიო ომის დროს 1916 წელს გერმანელებმა ტყვედ ჩამიგდეს ვარშავის მახლობლად. მალე გადამიყვანეს გერმანიაში — ჯერ კელნში, შემდეგ კი ქალაქ ტრირში. ყარამანის წარმოთქმა გერმანელებს უჭირდათ, ამიტომ საქმე გავიადვილე და ანტონი შევირქვი (სხვათა შორის, ჩემს უმცროს ძმასაც ანტონი ჰქვია).

როგორც ყოველ ქართველს, ცოტა რამ ვაზის მოვლისა მეც გამეგებოდა და ტრირში ერთ შეძლებულ ოჯახში ვენახის მოვლა დამავალეს. აქ გავიცანი ამ ოჯახის ქალიშვილი და დავუახლოვდი მას. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჰანას დედას კიდევ ჰქვია და ერთი ძმა და ორი და.





როდესაც მშობიარობის დრო მოახლოვდა, ოჯახის დედამ (მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა) ფეხმძიმე ქალიშვილი ტრირიდან ბერლინს წაიყვანა. სწორედ იქ, ბერლინში დაიბადა ჰანა. მალე ტყვეობიდან გამათავისუფლეს და შინ წამისვლის წინ ბერლინში ვინახულე უკანასკნელად დედა-შვილი. მას შემდეგ მათ შესახებ არაფერი ვიცი.

მკითხველო! ალბათ გახსოვთ, რომ ჩვენს გაზეთში ჰანა ცეტშეს დაბადების ადგილი არ იყო ნახსენები. ჰანას პირველი წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იგი ტრირში უნდა ყოფილიყო დაბადებული. ამიტომ, როდესაც ბატონმა ყარამანმა თხრობა დაასრულა, მაფიქრებს უჭირდა ცეტშეს ერთ-ერთი წერილი ამოეღო, სადაც იგი საქართველოში ჩამოსასვლელი ვიზის მისაღებად თავის ზუსტ სახასპორტო მონაცემებს გვაწვდიდა. ამ წერილის არსებობა, რა თქმა უნდა, ყარამანმა არ იცოდა, და როგორი იყო გაკვირვება, როდესაც ეჭვი არაფერია — თქვენ ალარ მოგიხდებათ მამის საფლავზე მისვლა ბაქოში, შეგიძლიათ ცოცხალ, ჯანსაღ, ხალისიანა და იუმორით სავსე მამას ჩაეკრათ გულში.

გატონი ყარამანი ახლა 77 წლისაა, პენსიონერია. ცხოვრობს თბილისში. ტყვეობიდან დაბრუნებიდან შემდეგ ოჯახს მოუკიდა. კყავს მეუღლე და ერთ ვაჟი, ორივე დაოჯახებული. ისინი მოუთმენლად ელიან თქვენს ჩასვლას.

რაც შეეხება ვენერა კვაჭანტირაძის, მისთვის პატარა გაუგებრობაა. მას ნამდვილად ჰყავდა ბიძა ანტონ სირაძე, ისიც ტყვედ იყო გერმანიაში, და, როგორც ჩანს, მსგავსი ისტორიაც გადახდომია. კონჭკათელები იმედოვნებენ, რომ მათაც ჩათვლით ახალშეძენილ ნათესავებად და როცა ჩამორბძანდებით, ინახულებთ კიდეც.

გიგზავნით ყარამან სირაძის ფოტოსურათებს — ერთს გადაღებულს ახალგაზრდობაში და მეორეს — ამ რამდენიმე დღის წინათ გადაღებულს“.

პასუხმა არ დააყოვნა.

...„დღეს თქვენი წერილიდან გავიგე, რომ მამაჩემი ცოცხალია და მყავს ორი ძმა. ვერ წარმოიდგენთ როგორ მიხარია, რომ მომწილის მამასთან შეხვედრა. ვიმედოვნებ, რომ მისი მეუღლე არ განაწყენდება ასეთი მოულოდნელი აღმოჩენით. ეს ყველაფერი ხომ შორეულ წარსულში მოხდა. მამა ნუ იდარდებს იმაზე, რომ ვერ მიიღო მონაწილეობა ჩემს აღზდაში.

ო, როგორ მიხარია, მამისა და მრავალრიცხოვანი ნათესავების პირადად გაცნობა, საერთად ლამაზი ქვეყნის საქართველოსა და მისი მოსიყვარულე ხალხის ნახვა.

ბატონო რედაქტორო! სიხარულით ველოდები თქვენთან შეხვედრას, რადგან თქვენ უზომოდ ბევრი გააკეთეთ ჩემთვის ისე, რომ ერთი მანეთიც არ გიახოვიათ...

თქვენი წერილი გასაოცარ, მეტად პოზიტიურ სიახლეებს შეიცავს. ნამდვილად მიმაჩნია, რომ ყარამან სირაძე ჩემი მამაა. სიმართლეა, რომ პაპა და ბებია ტრირში მდიდრულად ცხოვრობდნენ. დედაჩემს ჰყავდა ერთი ძმა და ორი და. მე დავიბადე 1918 წლის 7 ოქტომბერს ბერლინში — ვაისენზეეში... როგორც ჩემმა ნამდვილმა დედამ მიამბო, ჩემი დაბადების შემდეგ მოსულა ჩემი ნამდვილი მამა და უთხოვია დედისათვის ბავშვისანად გაჰყოლოდა სამშობლოში. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1918 წლის ნოემბერში, როცა 4 კვირისა ვიყავი...



სურათებზე: ზემოთ — ყარამან სირაძე და ჰანა ცეტშე; ქვემოთ — სტუმრად „სამშობლოს“ რედაქციაში, შუაში ჰანა ცეტშე, მარცხნივ მისი ძმა შოთა სირაძე.

ასე ჩვენ ვიგებდით ამბავს, რომ ეს ფაქტები ემთხვევა ერთმანეთს. და მაინც ვერ მირწმენია, რომ ჩემი მამა ცოცხალია, რომ სულ მოკლე ხანში შემიძლია მოვეხვიო მას...“

14 სექტემბერი. თბილისი. აეროდრომი. ახეთი გულწრფელი, ამაღელვებელი შეხვედრა, ალბათ, არც ერთ უცხოელს არ ხვდომია წილად. ყარამან სირაძე, მისი შვილები — მეცნიერების კანდიდატი შოთა და ინჟინერი ზურაბი, რძლები, შვილიშვილები, ოჯახის ახლო ნათესავები და მეგობრები უამრავი ყვავილებითა და თაიგულებით, მოუთმენლად მოელიან ვერცხლისფერი ლაინერის დაშვებას, კარის გაღებას... ყველას ერთი და იგივე კითხვა უტრიალებს თავში — ვიცნობთ კი მას? გავარჩევთ სხვა მგზავრებისაგან, უცხოელებისაგან?..

და როგორც კი თვითმფრინავის კარის ზღუდე მოხდენილი გარეგნობის, საშუალოზე მაღალი, გამოკვეთილი ქართული ცხვირითა და თვალ-წარბით დამშვენებული, სიმპათიური, მომღიმარი სახის ქალმა გადმოაბიჯა, ყველას ერთბაშად აღმოხდა — „ჰანა, ჩვენი ჰანა!“.

ჰანა ცეტშე — ჰანა სირაძე!.

ორმოცდაცამეტი წლის ქალი პირველად ეხვეოდა საკუთარ, ნამდვილ მამას...

გამარჯობა, მამა!

მიუნხენის სამოქალაქო აეროდრომის კომერციული დარგის მოსამსახურე ჰანა ცეტშე დღეს უბედნიერესი ქალია. ლაღად დააბიჯებს თბილისის ქუჩებში, ეხვევა მამას, ძმებს, ლებსა და ძმისწულებს. ნათესავებში გადაბატიებას, მისვლა-მოსვლას ბოლო არ უჩანს. უკვე შეისწავლა რამდენიმე ქართული სიტყვა. ეცნობა ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს. განსაკუთრებით მოიხიბლა ჩვენი კულინარიით. დაათვალიერა თბილისი, ბევრი ღირსშესანიშნაობა. მადლობის სათქმელად მოვიდა ჩვენთან, რედაქციაში. ერთად ვიყავით საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, ვესტუმრეთ უვავილების ჯადოქარს მიხეილ მამულაშვილს...

— მიუნხენში მცხოვრები ქართველებისაგან, იმათგან, ვინც პირველად შეხუხდა ჩემი ბედით და მირჩია დაბმარებისათვის თქვენი რედაქციისათვის მომემართა, ბევრჯერ მსმენია საქართველოს, მისი ხალხის სილამაზისა და მშვენიერების, სტუმართმოყვარეობისა და განსაკუთრებული გულითადობის შესახებ, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იმის გადმოცემა, რასაც განვიცდი, შეუძლებელია...

ხვალ, შაბათს, ქალბატონი ჰანა წინანდალში გაემგზავრება და თავისი ძმების, ზურაბის მეუღლის ლამარა მეგუთნიშვილის მამულეთში პირველად იხილავს ჯახურ რთველს. შემდეგ, ალბათ, დასავლეთ საქართველოსაც ესტუმრება...

ქალბატონი ჰანა ოქტომბრის შუა რიცხვებამდე დაჰყოფს საქართველოში. მე მჯერა რომ მისთვის სამშობლოში გატარებული თითოეული დღე ბედნიერებისა და სიხარულის მომგვრელი იქნება.

ქალბატონ ჰანას ურთიერთობა და სიყვარული მამის სამშობლოსთან მხოლოდ ახლა დაიწყო, როდესაც გერმანიაში დაბადებული და გაზრდილი ქალი უკვე შუახნისაა, და ისიც მჯერა, რომ ეს სიყვარული სამარადისოდ გაჰყვება.

კვლავ არაერთხელ ჩამოვა მამის ქვეყანაში.

ანდამატივით ძალა აქვს სამშობლოს!

ვახტანგ ესვანჯია



ბიბო

რევაზ ინანიშვილი

ბიბო პატარა ბიჭია. პატარაა, აბა, მაშ რა არის, ჯერ ხუთი წლისაც არ გამხდარა! გრძელი ღამის პერანგი აცვია და ისე სძინავს. გადაიბდის საბანს და გდია საბერე კიტრივით არხეინად საბანგადახდილი. ძალიან კი სწყინს ხოლმე ვინმე რომ ეტყვის, პატარა ხარო. პატარა მე კი არა, ჩვენი რობინზონაო. რობინზონა ვიღაა? ბიბოს ბიძაშვილი. სულ რაღაც ცხრა თუ ათი თვით უმცროსია ბიბოზე, მაგრამ ბიბო ისე ეჭცევა, როგორც ნამდვილ დიდს შეჰფერის. არიგებს: ასე და ასე მოიქეციო. მფარველობს კიდეც — ბიბოს შიშით ვერც ერთი ბიჭი ცუდს ვერას გაუბედავს რობინზონას. თუ მაინც გაუბედეს? მაშინ ბიბო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს, ლოყებს დაბერავს და ბაყბაყდევივით დააბრიალებს თვალებს. ბაყბაყდევივით თვალებმობრიალე ბიჭს კი, აბა, ვინ უნდა დაუდგეს წინ!

ზოგიერთ უხეიროს კი არა ჰგავს, მოსვენებას რომ არ აძლევენ დედას და ბებიას. საჭმელია, ძალით უნდა ჩასჩარო ამ უხეიროებს, ძილია და... დაწვებიან და დაიწყებენ ჩხავილს: ზღაპარი მოამბეთ, თორემ ისე არ დავიძინებო.

ბიბო დიდივით მიუჯდება მაგიდას, თვითონვე აიფარებს ხელსახოცს გულზე, მარჯვენა ხელში დიდ კოვზს დაიჭერს, მარცხენაში — დიდ ჰურს, და დინჯად, საქმიანად შეუდგება ჭამას. კერძს რომ გაათავებს, ახლა ჩაის მოითხოვს, ჩაისაც წუნარად დალევს, მოიწმენდს ტუჩებს, — აგაშენოთო, — იტყვის ნამდვილი კაცივით და წამოდგება.

ღამეა. დედა საკერავ მანქანას უზის, ბებია საბანს ალიანდაგებს, — პრიალა ნემსით მართლაც ლიანდაგივით სწორი ხაზები გაჰყავს საბნის ერთი კუთხიდან მეორემდე.

— ხომ არაფერი გჭირდებათ?

— იკითხავს ბიბო.

— შენი კარგად ყოფნა და გახარებაო, — მიუგებენ დედა და ბებია, — დაწექ ახლა და დაიძინეო.

ბიბო დიდ, გამობერილ მუცელზე აისვამს და დაისვამს ხელს, ლოყებს ცოტათი გამობერავს, — არ უყვარს, ასე პატარასავით რომ ეალერსებიან დედა და ბებია. ცოტა ხანს ბაზურა კატას მიუჯდება. ბაზურა, აქამდე რომ არხეინად იწვა ღუმელის ქვეშ, ბიბოს მოახლოებისთანავე წამოდგება და ნელა გაძვრება ღუმელის იქითა მხარეს.

— ჭკვიანი ბიჭია ეს ჩვენი ბიბო, — იტყვის ხოლმე ბაზურა, — მაგრამ რა ვიცოო, მაინც ბიჭიაო. ვინ არის თავდები, რომ ერთ დღეს შიგ ძირში არ მომჭრას კუდი თავისი წალდუნათიო?! ამიტომაო, — იტყვის ხოლმე ბაზურა, — ისევ გაცლას ვამჯობინებო.

შეძვრება ტახტის ქვეშ, მოიკუნტება კოხტად, თათს თავქვეშ ამოიდებს და ახლა იქ განაგრძობს ძილსა და კრუტუნს.

ბიბო კი დაამთქნარებს. ეს იმის ნიშანია, რომ იმასაც ეძინება. მაგრამ ისე არ დაიძინებს, ერთხელ კიდევ არ გავიდეს გარეთ და ერთხელ კიდევ არ გახედოს გზას, აბა, მამაჩემი ხომ არ მოდისო. მამამისი, შაქრო, შოფერია. უზარმაზარი „ზილი“ დაჰყავს და ხან მთელი კვირაობით მიდის შორს, შორს ყიზლარში. ახლაც ყიზლარშია და მის მოლოდინში თვალი გზაზე აწყდება ბიბოს. გადგება აივანზე და შემოიყრის დოინჯს. ძირს ჩაბნელებული ივრის დიდი ჭალაა, იმ ჭალის იქით წამლიანის გორა, იმ გორაზე კი შარაგზა მიიკლაკნება და ზედ ციცინათელებივით მიცოცავენ მანქანები.

— ნეტავ მამაჩემის მანქანა აგერ ის იყოს, აგერ! — იტყვის ბიბო ხან ერთზე, ხან მეორეზე, — მაგრამ მანქანები ჭალისაკენ არ უხვევენ. ისინი ზემოთ, გომბორისკენ მიდიან და ბიბოს გული სწყდება.

— ეჰეჰეი! —დაადევნებს ვაჟკაცურ ძახილს, — ეჰეჰე!

მაგრამ იქიდან კი არ იღებს პასუხს, მეზობელი ხახლიდან დაეხმაურება ვიღაც:

— ეჰეჰეი, ბიბო!

ეს რობინზონაა, პატარა რობინზონა. ისიც აივანზე გამოდის და დიდი ხნის უნახავივით ხელებაწეული, გახარებული ეძახის ბიბოს:

— ბიბოოო! ბიბოო!..

ბიბოს არ უყვარს, სხვა ვინმე რომ ერევა მის ამგვარ ოცნებებში, მაგრამ რობინზონა პატარაა, ჯერ ჭკუა არა აქვს, ამიტომ მხოლოდ კეთილი მოხუცივით ტუჩსავს:

— რაღა დროს შენი ღვიძილია, ბიჭო, წადი, დაწექი ახლა.

და რობინზონას შინ შესვლას აღარ დაუცდის, თვითონ შებრუნდება შინ, დინჯად გაიხდის ტანსაცმელს, კოხტად დააწყობს ერთ ადგილას, დაწვება და დაიძინებს.

გათენებას ჯერ ბევრი უკლია, რომ ერთი პირობა მაშინ გაიღვიძებს. დედას და ბებიას სძინავთ. ეცოდება, არ უნდა შეაწუხოს. წევს გატრუნული, აპარპალებს იმ დიდრონ თვალებს და იცდის, იქნებ თავისით გაიღვიძონო, მაგრამ თავისით არ იღვიძებენ და როდემდის იქნება ასე, კაცს პური შია!

— ბებო! — გადასძახებს ჩუმად.

— რაო, შემოგევლე! — იმწამსვე გამოეპასუხება ბებია.

— კარაქიანი პური მომიტანე რა, ცოტა!

მიუტანს ბებია კარგა მოზრდილ კარაქიან პურს. ილუკმება ბიბო და თან ფიქრობს... უცებ რაზე აღარ ფიქრობს. რამდენიმე არის ამ ქვეყანაზე საფიქრებელი! მამა ჯერ არ დაბრუნებულა ყიზლარიდან. იმისგრძე გზაა, აქეთ შავი კლდეები, იქით უფსკრულები და ფაფარაყრილი თრგვი, — ეუჰ! — ფაფარაყრილი თრგვი! ჰაერში კიდევ ნისლებია გაკიდებული. თანაც ათასი მთვრალი შოფერი დადის, ათასი ზვავია, ათასი ოხრობაა... მამა კიდევ ფიცხია, სულ ჩქარობს. ნეტავ რა ეჩქარება! როცა ნელა მიდიხარ, განა მაშინ უფრო კარგად არა ჩანს ყველაფერი?! მერმის შენც წაგიყვანო. ეუჰ, რა იქნება! ნეტავ მართლა მოერევა დათიკაანთ ძაღლი ჩვენსას? ერთი კომშზე უნდა გამოვცადო ჩემი წალდუნა, კომში მაგარიაო.. ილუკმება, ილუკმება ბიბო, ფიქრობს, ფიქრობს და ჩაეძინება ასე.

როცა ხელახლა გაიღვიძებს, უკვე ქვეყანასაც ღვიძავს. დედა კოლმეურნეობაშია წასული. ბებია მარანში აბრახუნებს რაღაცას. ვეებერთელა მზე აივნის ბოძსა და ბოძს შუა გაჩერებულა და ბიბოს ელოდება. ბიბოც გადის ფეხშიშველა, თვალების ფშვნეტით. ახლა, იქით ის ვეებერთელა მზეა აივნის ბოძსა და ბოძს შუა, აქეთ — ბიბო. ერთხანს ჯიუტი ბოტებივით ათვალიერებენ ერთმანეთს. მერე ბიბო მხარს შეაქცევს, — მე შენი აყოლა რას გამომადგებაო, ტანსაცმელს ჩაიცვამს წვალებით, ხვნეშით, მაგრამ გმირული სიჯიუტით. ფეხსაცმელსაც შეიკრავს და ნელ-ნელა ჩავა კიბეზე.

მზე მაინც თავს არ ანებებს. მისდევს და იცინის მხიარულად. რატომ არ იქნება მხიარული, რა! აიწევს ასე, აიწევს და მერე არხეინად ჩაგორდება წალმიანის უკან. ბიბოს კი რამდენი საქმე აქვს მოსაგვარებელი: საქათმეში უნდა შეძვრეს და ნახოს, აბა, დადო თუ არა კვერცხი ქოჩორა დედალმა, ძაღლი უნდა წაიყვანოს და დათიკაანთ ძაღლს აჩხუბოს. წალდუნაც ხომ უნდა გამოცადოს კომშზე?! გუშინ ამწე მოიტანეს სკოლის მშენებლობაზე, დღეს მაინც არ უნდა ნახოს, როგორ მუშაობს ის ამწე? თანაც... ჯანღივით შემოხვევია ეს ფიქრი გულზე: მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან, ეეჰ, მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან.

— ბიბოს გაუმარჯოს, ბიბოს! — ესალმებიან მეზობლები.

— გაგიმარჯოთ!

— როგორა ხარ, კაცო, ბიბო!

— გული დარდიანი მაქვს.

— რათა, კაცო, რათა!

— მამაჩემი ყიზლარშია და...

— მოვა, კაცო, მაგაზე რა გადარდებს.

— რა ვიცი, გზაა, ათასი მთვრალი დაეხეტება, ათასი ზვავია, ათასი ოხრობა...

— ოხ-ო-ხო! რა ხარ, კაცო, რა ხარ! — გაიკვირვებენ მეზობლები და მხრების ჩეჩვით წავლენ, — რა არის ეს, რა უცნაური ყმაწვილიაო, კაცო, რა გამოვა ნეტავ მაგისგანაო!

რა უნდა გამოვიდე და შოფერიო, ეუბნება ყველას ბიბო.

აბა შენ იცი, აბა, შენ იციო! უხეიროთ მეზობლებს...

უხეიროთ, რადგან იციან, რომ, თუ გამოვა, მისგან გამოვა დინჯი, ჭკვიანი შოფრები ესაჭიროება ქვეყნიერებას. დალოცავენ ყველანი.

— გაიზარდე, შერჩი შენს დედ-მამასაო.

ბიბოც იზრდება და იზრდება. ამაყად დაიბჯენს ამ დიდ, ღონიერ დედამიწაზე და ჯერჯერობით, სანამ მთლად დიდი გაიზრდებოდეს, სანამ შოფერი გახდებოდეს, თავის ბავშვურ საქმეებს აგვარებს ხვნეშით, გმირული სიჯიუტით.

თან დაჰყვება მისი მეგობარი მზეც.



ტელევიზორთან

ტელევიზორის ცქერაში
იყვნენ კნუტები გართული,
უცებ გამოჩნდა წრუწუნა,
ჩამოუარა „ქართული“.
ახტნენ, თავი და თათები
ბევრი ახალეს მიწაზე,
თაგვები ისევ ცეკვავდნენ
ციცუნიების ჯინაზე.

დავით ხუროძე

ახალი წიგნები

„ზარმაცი თაგუნას ამბავი“

ერლომ ახვლედიანის წიგნი „ზარმაცი თაგუნას ამბავი“ წლეულს მიიღეს სკოლამდელებმა. მასში ხუთი ნაწარმოებია. „მელია და ტყუილი“ პატარებს მოუთხრობს როგორ გახდა ერთ დროს ყველაზე ალალმართალი მელა ასეთი ცრუპენტელა.

„თეთრ ყვავილს და თეთრ პეპელაში“ გაკიცხულია უადგილო დაჟინება და იძულება, რასაც, ბუნებრივია, შედეგიც ცუდი მოჰყვება. უსაქმურობა და მინდობილი საქმისადმი უგულო დამოკიდებულება—ზღაპარში „უნიჭო ობობა“. მცონარობა მხილებულია ზღაპარში „ზარმაცი თაგუნას ამბავი“. ბავშვებს კეთილ ღიმილს ჰგვრის „მელა მასწავლებელი“.

ერლომ ახვლედიანის ამ წიგნს პატარები ინტერესით კითხულობენ.

„ნაკადულმა“ გამოსცა

გამომცემლობა „ნაკადულს“ არაერთხელ გაუხარებია ჩვენი პატარები მშვენიერი წიგნებით. როგორ შეიძლება იმ სიამოვნების გადმოცემა, რასაც გრძნობენ ნორჩები მსოფლიო ხალხთა ზღაპრების კითხვისას! ამ სერიით უკვე რამდენიმე ტომი გამოვიდა. ასეთი დიდი მასშტაბით მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების გამოცემა საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენში ხორციელდება.

„ნაკადულის“ კიდევ ერთი შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ღონისძიებაა „ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგიის“ გამოცემა სამ ტომად. პირველი ტომი უკვე მიიღეს ნორჩმა მკითხველებმა. მასში შეტანილია ლექსები და პოემები. მომდევნო ორი ტომი დაეთმობა პროზაულ ნაწარმოებებს.


წიგნის მთავარი რედაქტორია ხუტა ბერულავა.

ანთოლოგია შეადგინა ნინო ბეზარაშვილმა.

ეპოღაღური

თქვენი სახლი, პატარებო,
ჩემთვის ციხე არის,
ნუ ჩამამწყვდევთ ობლად,
გამომიღეთ კარი!
— მიყვარს მთა და ბარი
და ლამაზი ზეცა,
წავალ, ვეუგალობებ,
ჩემს სამშობლოს მეცა.

ნაირა ნიშარაძე



თბილისელ მოსწავლეებს — 47-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს მარინე ჩიქობავასა და 64-ე საშუალო სკოლის IX-კლასელ ალეკო გამრეკლიძეს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო პიონერულ ბანაკ არტეკში 1969 წელს ხელოვნების ფესტივალზე ქართული ხალხური ცეკვების ოსტატურად შესრულებისათვის მათ ოქროს მედალი დაიმსახურეს, ხოლო ჟიურიმ და მაყურებელმა „ოქროს წყვილი“ შეარქვა.

თბილისის პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტები მარინე ჩიქობავა და ალეკო გამრეკლიძე საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედი V, VI, VII ოლიმპიადების ლაურეატები არიან.

1971 წლის ივლისში მათს ხელოვნებას ტამს უკრავდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაყურებლები.

სურათზე: „ოქროს წყვილი“ — მარინე ჩიქობავა და ალეკო გამრეკლიძე.

გივი კიკავაძის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

მონოგრაფია ტიციან ტაბიძეზე

საქართველო გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ლენინგრადის განყოფილებამ გამოუშვა გალინა ცურიკოვას მონოგრაფია „ტიციან ტაბიძე — ცხოვრება და პოეზია“. მონოგრაფიის წინათქმაში ვკითხულობთ:

„ტიციან ტაბიძის შემოქმედებამ ფართო აღიარება პოვა ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც. თავისი ხალისიანი ცხოვრებით ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იგი ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურული დაახლოებისათვის უყოველმხრივ ხელშეწყობას მიიჩნევდა. გალინა ცურიკოვას წიგნი რუსულ ენაზე დაწერილი პირველი მონოგრაფიაა ტიციან ტაბიძეზე. აქ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება განხილულია ქართულ და რუსულ პოეზიათა ვრცელ ფონზე. ავტორი წარმოგვისახავს პოეტისა და მის თანამედროვეთა ცოცხალ ხასიათებს. გვაცნობს ტიციან ტაბიძის რთულ შემოქმედებით გზას“.

მონოგრაფია ეძღვნება ნინო ტაბიძის ხსოვნას, უხვად არის დასურათხატებული იშვიათი ფოტოსურათებით. წიგნის თავფურცელზე დაბეჭდილია კირილე ზდანევიჩის მიერ დახატული ქართველი პოეტის ცნობილი პორტრეტი.

წიგნის რედაქტორია დიკმანი.

საიუბილეოდ

დიდი ქართველი კომპოზიტორის, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთვის ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ამზადებს „აბესალომ და ეთერის“ დადგმას.

ნევისპირა ქალაქში მეორედ აჟღერდება ქართული მუსიკის ეს შესანიშნავი მარგალიტი. (პირველად იგი ლენინგრადელებმა 1938 წელს გაიცნეს ქართული ხელოვნების დეკადის დროს).

აუენდება ზუგდიდში

„აუენდეს ფაიფურ ქანაურის ქარხანა...“ — ითქვა XXIV ყრილობაზე. ითქვა და საქმემაც არ დააყოვნა —ზუგდიდში გამოიყო ადგილი ქარხნის მშენებლობისათვის. ქარხნის პროექტი შეიმუშავეს ლენინგრადის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა. ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 26 მილიონ ცალ ნაკეთობას, 30-ზე მეტი დასახელების პროდუქციას. ფაიფურის ნაკეთობათა ძირითად ნედლეულს — კაოლინს უკრაინიდან ჩამოიტანენ, ხოლო სხვა დამხმარე მასალებს მიიღებენ ადგილობრივი საბადოებიდან. მშენებელი, უახლესი ტექნიკითა და მაღალმწარმოებლური მოწყობილობით აღჭურვილ ფაიფურის ქარხანაში იმუშავებს მრავალი მუშა და სპეციალისტი. მათთვის საწარმოს მახლობლად აშენდება კეთილმოწყობილი დაბა.

მესამე გამოცემა

ანტისური ლიტერატურის მოყვარულთ შეუძლიათ წაიკითხონ ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის სიმონ ყაუხჩიშვილის „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, რომელიც მესამედ გამოიცა. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან (ბერძნული ლიტერატურა და რომაული ლიტერატურა). მასში განხილულია: ბაბერძნეთი XIII-IV საუკუნეებში, ბერძნული პოეზიის საწყისები, ჰომეროსის პოემები, დიდაქტიკური ელეგია, ლირიკა: ელეგია და იამბი, მელოსი და ჰორაცი, ტრაგედიის წარმოშობა და განვითარება, ანტიკური ტრაგედიის წარმომადგენლები, კომედიის წარმოშობა და განვითარება, ბერძნული პროზა, ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა, რომაელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება VIII-I საუკუნეებში, პირველი საუკუნის რომაული ლიტერატურა, ოქტავიანეს ხანის რომაული ლიტერატურა.

აღიარება

ირაკლი ინაური — ქართული ოქროჭედლობის, ქართული ტექნიკის ერთ-ერთი განმახლებელი და პირველთაგანი.

ხელოვანი, რომელიც მშობლიური ქვეყნის სიყვარულს აქსოვს მის ქმნილებებს და სიყვარულსაც ამკობს.

ხელოვანი, რომლის ბრწყინვალე შედევრებს—„ქალი დაირით“, „თამარ მეფე“, „ცხენები“, „ფირუზმანი“, „თბილისის შემოდგომა“, „სამაია“, „შენ ხარ ვენახი“, „ბედნიერება“, „გაზაფხული ხევსურეთში“ და სხვას აღტაცებაში მოუყვანია მსოფლიოს მრავალი ქალაქი — პარიზი, მონრეალი, დელი, დრეზდენი, ოსაკა...

ღირსეული ხელოვანი წვარდგენილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობაზე.

კიდევ ერთი სემესტრი

ვენის მუსიკალურ აკადემიასა და საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს შეთანხმების თანახმად ვენაში უკვე წელიწადს ხუთჯერ გახსნელად იგზავნება ერთი საბჭოთა დირიჟორი. საპასუხოდ კი ჩვენთან ჩამოდის იქაური მუსიკოსი, პიანისტი ან მევიოლინე.

შარშან ვენის მუსიკალურ აკადემიაში ამ მიზნით ჩავიდა რიგით მეოთხე საბჭოთა მუსიკოსი, ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი გიორგი გოცირიძე. აკადემიამ გულთბილად მიიღო ქართველი ხელოვანი. მას ხელმძღვანელობას უწევდა ცნობილი დირიჟორი ჰანს სვაროვსკი. ჩვენმა თანამემამულემ პედაგოგთა დიდი გულთბილება მოიპოვა შემოქმედებითი ინდივიდუალობით, პროფესიონალობით, ღრმა თეორიული მუსიკალური ცოდნით და ამიტომ, როდესაც ამოიწურა ვენაში მისი ყოფნის დრო, პროფესორმა სვაროვსკიმ სთხოვა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს — ქართველ დირიჟორს გაუგრძელონ კიდევ ერთი სემესტრი.

ეკრანის სიახლენი

ოდესის კინოსტუდიაში ხანგრძლივ ფართომეცრანიანი ახალი ფერადი მხატვრული ფილმის „რობინზონ კრუზოს“ გადაღება. ფილმის რეჟისორია სტანისლავ გოვორუხინი. მთავარ როლში გამოდის ლეონიდ კურავლიოვი, პარასკევას კი ასახიერებს ქართველი მსახიობი ერაკლი ხიზანიშვილი.

ამჟამად შემოქმედებითი ჯგუფი გაემგზავრა კურილის კუნძულებზე, შემდეგ კი გადაღება გაგრძელდება სოხუმსა და ოდესაში.

„ვაჟას კრებული“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან რამდენიმე წელიწადია არსებობს „ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარი“. სემინარის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს ვაჟას მემკვიდრეობის ყოველმხრივ და დაწვრილებით შესწავლაში. სემინარის საქმიანობის შედეგები ასახება შრომების კრებულში, რომელიც პერიოდულად გამოვა სამ წელიწადში ერთხელ. ამ შრომების პირველი ტომი უნივერსიტეტმა უკვე გამოსცა. ეს წიგნი მიეძღვნა კაბინეტის გამგეობისა და მუდმივი სემინარის წევრის, პროფესორ მიხეილ ზანდუკელის ხსოვნას.

კრებულში მოთავსებულია სტატიები: პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძისა **„ვაჟა-ფშაველა რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში“**, იუზა ევგენიძისა **„ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“**, ლეილა სულხანიშვილისა **„ვაჟას სტილის თავისებურებათა შესახებ“** და სხვა. კრებულში გაეცნობით ვაჟას ზოგიერთი ნაწარმოების რუსული თარგმანების ანალიზს, ვაჟას სამი თხზულების („სიმღერა“, „უცხო მამალი“, „ჰო თუ არა?“) მივწყებულ პუბლიკაციებს. აქვეა წარმოდგენილი დალოცვისა და წყევლის ფორმულების ლექსიკონი.

აქ ხელოვნების სიყვარულს ასწავლიან...

რიცა ამ ორიგინალურ წამოწყებაში საცდელ სამუშაოებს ჰკიდებდნენ ხელს, როცა მოსწავლეები შრომის გაკვეთილზე პრიმიტიული საქმიანობის ნაცვლად ხელზე პირველ ჩუქურთმას კვეთდნენ, სკოლის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ ამით დიდ ეროვნულ საქმეს უყრიდა საფუძველს.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში უკვე კარგად არის ცნობილი თბილისის 62-ე სკოლის მოსწავლეთა საქმიანობა. პირველად სწორედ ამ სკოლაში დაუკავშირეს ნორჩების შრომითი საქმიანობა ესთეტიკურ აღზრდას და ამით ფრიად კეთილშობილი საქმე წამოიწყეს.

სკოლის მუშაუმს ორი უზარმაზარი დარბაზი აქვს დათმობილი. ძნელია დაიჯერო, რომ აქ გამოფენილი ექსპონატები ბავშვთა შემოქმედების ნაყოფია. ეს არის გალერეა, სადაც თავმოყრილია დიდი ოსტატობით, ფაქიზი, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ნიმუშები, რომელთა შინაარსი და გარეგნული სრულყოფა გიხიბლავთ და გაოცებთ. რას არ ნახავთ აქ: იატაკიდან ჭერამდე აღწევს მუხის ხეში გამოკვეთილ-გამოთლილი „დიდა-ბოძი“, აქვეა ქართული ოდა-სახლები, ურმები, სახნის-კავები... ამ ნამუშევრებს, როგორც გავიგეთ, არა მარტო არასპეციალისტები მოუხიბლავთ, ფუნჯისა და საჭრეთლის ცნობილი ოსტატებიც მოუყვანიათ აღტაცებაში.

1968 წელს საქართველოს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში სახვითი ხელოვნების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, თბილისის 62-ე სკოლამ მსოფლიო გამოფენის საგზური მოიპოვა. „მე ვხედავ მზეს“ — ასე ეწოდებოდა 1970 წელს მოსკოვში გამართულ ბავშვთა მსოფლიო გამოფენას. წარმატება ძალზე დიდი იყო — საქართველოდან წარგზავნილმა მოსწავლეთა ნამუშევრებმა „დიდი ოქროს“ მედალი დაიმსახურა. ამავე გამოფენაზე თბილისელმა ნორჩებმა მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხრა-ცხრა მედალი. უხვად დაჯილდოვდნენ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის მეგობრებიც.

სკოლის დირექტორის გრიგოლ ონიანის, შრომის მასწავლებლის ალექსანდრე კალანდაძისა და მთელი პედაგოგიური კოლექტივის სამაყოდ უნდა ითქვას, რომ ეს სკოლა როგორც ხის მხატვრულად დამუშავების, ისე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მხრივაც პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში. და ეს შემთხვევითი როდია. ამ სკოლაში ღრმად სწამთ, რომ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ერთობ აცოცხლებს, მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის გაკვეთილებს, ზრდის ემოციური ზემოქმედების ძალას და, რაც მთავარია, ხელს უწყობს მასალის ღრმად და შეგნებულად ათვისებას.

მაგრამ სკოლას მარტო ეს საშუალებანი როდი ანიჭებს უპირატესობას სხვა სკოლებთან შედარებით. აქ არსებობს ხაზვის კაბინეტი, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ანზორ შავგულიძე. კაბინეტი აღჭურვილია საკავშირო მასშტაბის უნიკალური ტექნიკური ხელსაწყო-იარაღებით. დანერგილია თანამედროვე ელექტრონული, ოპტიკური და კიბერნეტიკული საშუალებანი.

სკოლაში გამოცდები ეწყობა გამომცდელი მანქანების მეშვეობით.

საქართველოს განათლების მინისტრის შარშანდელი ბრძანებით, სკოლის დირექტორს გრიგოლ ონიანსა და შრომის მასწავლებელს ალექსანდრე კალანდაძეს მადლობა გამოეცხადათ. ბრძანებაში აღინიშნა აგრეთვე, რომ 62-ე სკოლის გამოცდილება ფართოდ უნდა დაინერგოს სხვა სკოლებშიც.

გამზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედიაო, უთქვამს ბრძენ ილიას. მართლაც რომ შემოქმედების, კვლევისა და ძიების ნაყოფია ამ სამაგალითო სკოლის მიღწევები.

გაიოზ შავერზაშვილი



გაამარჯვებენ მაუწრეგელთა იმედზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი 44-ე სეზონი ნოდარ დუმბაძის პიესის პრემიერით — „ნუ გეშინია, დედა“ — დაიწყო. იგი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა, მხატვრულად გააფორმა მანია მალაშხიამ. მუსიკა წარიღიდგინისათის დაწერა ვახტანგ ამირანაშვილმა. ეს პიესა უკვე რამდენიმე თეატრმა დადგა საქართველოში, მაგრამ მარჯანიშვილელებმა მაყურებელს პიესის ახალი რედაქცია უჩვენეს, რომელიც თვით ავტორმა ნოდარ დუმბაძემ შეასთავაზა თეატრს. ამდენად ეს ვარიანტი უფრო სრულყოფილია და საინტერესო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, 30 სექტემბერს, თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი კვლავ პრემიერაზე შეიკრიბებიან — წარმოდგენილი იქნება ჯონ ფლეტჩერის „მომრჯულებლის მომრჯულებელი“. ეს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს ადამიანის სიკეთეზე, ჰუმანურობაზე, პირველად იდგმება ქართულ თეატრში. პიესას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი ნოდარ ჯანგიშვილი. მხატვრობა ეკუთვნის მხატვართა ცნობილ სამეულს — ოლეგ ქოჩაკიძეს, იური ჩიკვაიძესა და ალექსანდრე სლავინსკის.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესებს არ სჭირდებათ რეკომენდაცია. ისინი მტკიცედ დამკვიდრდნენ ქართული დრამატურგიის ოქროს ფონდში. მაგრამ მისი ნაწარმოები „ტყის ქალები“, რომელიც მწერლის შემოქმედების ადრეულ ხანას განეკუთვნება, ჯერ არ დადგმულა. ნაწარმოები კი ძალზე რომანტიკულია. მოგვითხრობს ადამიანის სულის სილამაზეზე, მის გულითშობილებაზე. ამ პიესის სცენური ხორცშესხმაზე მუშაობს რეჟისორი შედგა კუპუხიძე. მხატვარია მამია მალაშხონია, კომპოზიტორი — ფილიპე ღლონტი.

ახვევ პირველად ქართულ სცენაზე დაიდგმება გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“. მასი ინსცენირება გეუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს გრიგოლ ონიანს. პიესას ვედი კუპუხიძე დადგამს. წლეულს ნაბადებ მაყურებლები ირინა ვაკელის „პრაკუნე ჭიმჭიმელს“, რომელსაც სანდრო მრევლიშვილი ამზადებს.

ჩვენი მაყურებლები საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვასო გოძიაშვილს უკვე კარგად იცნობენ როგორც შესანიშნავ რეჟისორსაც. მის მიერ დადგმული თუ აღდგენილი სპექტაკლები დიდი წარმატებით სარგებლობენ. ამჟამად იგი დრამატურგიგია ნახუცრიშვილთან ერთად მუშაობს იოსებ გედევანიშვილის პიესა „მხსნელის ლზე“.

თეატრის დირექტორი, რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე დახადგმულად ანზადებს ამერიკელი დრამატურგის ედუარდ ოლბის პიესას „ყვავილაფერი მაღში“.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელ საქართველოში ჩვენს სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა ლეონიდ ანდრეევის პიესა „დუენი ჩვენი ცხოვრებისა“. მასში ქართული თეატრის ბევრი ჟორიფე მონაწილეობდა. და აი ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, მას მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განახორციელებს მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ბორის რავენსკიხი. რეპეტიციაში შეტანილია ავრეთვე შეკლპირის „მაკბეტი“, ტირსო დე ნოლინას „მწვანე მარვალი“. თეატრს ახალ პიესებს ჰპირდებიან მწერლები გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ჯაფარიძე, გიორგი ხუხაშვილი და სხვები.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი, რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე დასადგმელად ამზადებს სოფოკლეს „ანტიგონეს“. აღსანიშნავია, რომ ანტიგონეს როლს შეასრულებს ცნობილი ბერძენი მსახიობი ამალია პაპატანასიუ. იგი მონაწილეობას მიიღებს ყვროპიდეს „მედეაშიც“, რომელსაც თეატრი აღადგენს. მუსიკას „ანტიგონესათვის“ წერს რესპუბლიკის სახალხო ართისტი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. მხატვრობა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ფარნაოზ ლაპიაშვილს. ეს წარმოდგენები გაიმართება სახელმწიფო ფილარმონიის ახალ საკონცერტო დარბაზში.

ნ ლექანდელი სეზონი იმითაც გარის აღსანიშნავი, რომ სრულდება დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეოდ თეატრი ამზადებს კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტასა“ და შურამ ანტონოვის „მზის დაბნელებას საქართველოში“. დადგმებს აღადგენენ ამ წარმოდგენების პირველი მონაწილენი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გოძიაშვილი. მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებში გათვალისწინებულია ავრეთვე თეატრის გასტროლები სახელოვანი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ადგილებში — მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში.

წლეულს მარჯანიშვილელები აღადგენენ შარშანდელი სეზონის საუკეთესო დადგმებს.

თეატრი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს მაყურებელთა მოლოდინი და იმედები.

ფეხბურთელები, ვინც ისტორიას შეეწირნენ

ნამარში ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი 1924 წლის მარტში

დიდებულია 1924 წლის მარტი! ცხელი მეოთხედია, ივლისის ბოლოა — **ოთხმოცდა ექვსი ნომერი** მარტში, ბერიტაშვილის ქუჩაზე მდებარე ტრამვაის დეპოში, ნოემბრის დასაწყისია, წვიმიანი დილაა, ნოემბრის ბოლოა, ორშაბათია, ნომერი ოცდაერთია, ქუჩა № 15.

ნამარის სპორტული საზოგადოების

ფიზკულტურული ჯგუფის

ფეხბურთელები,

ნამარის ფეხბურთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა, ნამარის ფეხბურთის ნაკრების ყველა მატჩის მონაწილე, ნამარის ფეხბურთის ნაკრების ყველა გოლის ავტორი, ნამარის ფეხბურთის ნაკრების ყველა გამარჯვების ავტორი, ნამარის ფეხბურთის ნაკრების ყველა ტრიუმფის ავტორი, ნამარის ფეხბურთის ნაკრების ყველა ტრიუმფის მონაწილე